

საქართველოს სოფლის მეურნეობისა  
და სურსათის სამინისტროს  
მცენარეთა დაცვის სამსახური



მცენარეული და  
სხვა საქვეყნარუნტონო  
ტვირთ-მასულები  
დასეღვისა და  
მესკერტიზის მეთოდები

თბილისა  
2002

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და  
სურსათის სამინისტროს მცენარეთა  
დაცვის სამსახური

---

**გცენარეული და სხვა  
საქვეპარანტი  
ცვირთ-მასულები  
დახედვისა და ექსპერტიზის  
მეთოდები**

(მოკლე მეთოდური მითითებანი)



თბილისი  
2002 წელი

ფიგოსანიგარიული კარანგინის სახელმწიფო სამსახური საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს სახელმწიფო ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია სამღვარგარეთის ქვეყნებიდან, აგრეთვე საქართველოს რეგიონებიდან, სადაც გამოცხადებულია კარანგინი, მცენარეთა საკარანგინო და სხვა, პოტენციურად სამიში მკენებლების, დააიედებების და სარეველების შემოგანისა და გაერცელების აღსაკვეთად.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ქვეყნებს შორის გაუართოვდა საეკონომიკური ურთიერთობები და გაიზარდა გვირბრუნებები, რაც დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ფიგოსანიგარიული კარანგინის სახელმწიფო სამსახურს.

საკარანგინო ღონისძიებათა სისტემაში ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო რგოლად ითვლება სამღვარგარეთიდან შემოგანილი და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული გვირბრუნ-მასალების საკარანგინო მდგომარეობის დადგენა. ამიგომ საქვეკარანგინო გვირბრუნ-მასალების დახედა და ექსპერტიზა, რომელსაც ატარებენ კარანგინის სახელმწიფო ინსპექტორები და ლაბორატორიის სპეციალისტები წარმოადგენენ ერთ განუყოფელ საწარმოო პროცესს.

წიგნში „მცენარეული და სხვა საქვეკარანგინო გვირბრუნ-მასალების დახედვის და ექსპერტიზის მეთოდები“ (მოკლე მეთოდური მითითებანი) კარგად არის გაშუქებული საქვეკარანგინო გვირბრუნ-მასალების დახედვის და ექსპერტიზის ჩატარების მეთოდები (ენტომოლოგიური, ფიტოპათოლოგიური, ბაქტერიული, ვირუსული, ფიტოკელმინთოლოგიური და პეროლოგიური). მიმართულია საკარანგინო და სხვა მკენე ორგანიზმების აღმოსაჩენად.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე ამგვარი მეთოდური სახელმძღვანელო – საქვეკარანგინო მასალის დახედვის ტექნიკის და ექსპერტიზის მეთოდების აღწერით – დღემდე არ ყოფილა გამოცემული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მხოლოდ ინსტრუქციების სახით გამოქვეყნებულ მთავიერთ მასალას. სწორედ აღნიშულმა მდგომარეობამ განაპირობა ამ წიგნის გამოცემა.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ფიგოსანიგარიული კარანგინის ინსპექტორებს, ლაბორატორიის სპეციალისტებს, მცენარეთა დაცვის დარგში მომუშავე სპეციალისტებს, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებს.

წიგნის შედგენა და გამოცემა უბრუნველყევს:

მცენარეთა დაცვის სამსახურის  
უფროსის პირველმა მოადგილემ

ბ-ნ შ. ბეჟიშვილი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა  
კანდიდატმა

ბ-ნ ძ. შიბლაქიძე

კონსულტანტმა

ქ-ნ ე. კვიციანი

## შესავალი

საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური შექმნილია „მაენე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ კანონების და „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დებულების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის № 670 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 23 მაისის № 255 ბრძანების საფუძველზე.

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და განკარგულებით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანებებით და მცენარეთა დაცვის სამსახურის დებულებით.

საქმიანობის სფეროს განეკუთვნება: საკარანტინო და განსაკუთრებით სხვა საშიში მავნე ორგანიზმების გამოვლინება, მათი მასობრივი გავრცელების და საგანგებო მდგომარეობის თავიდან აცილება, ლოკალიზაცია და მათი კერების ლიკვიდაციის განხორციელება; ფიტოსანიტარიული კონტროლისა და ფიტოსანიტარიული ზედამხედველობის განხორციელება; მავნე ორგანიზმების გავრცელება-განვითარების პროგნოზირება, ლაბორატორიული ექსპერტიზა და დიაგნოსტიკა; სასოფლო-სამეურნეო საეარგულების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, იმპორტული და სამამულო წარმოშობის პროდუქციის შესანახი საწყობების გამოკვლევა და ნაკვეთების ფიტოსანიტარიული მდგომარეობის დადგენა; იმპორტული, საექსპორტო, ტრანზიტული, რეექსპორტის საქვეკარანტინო გვირთ-მანალეების, მათ შორის მგზავრთა ბარგისა და ხელბარგის, საფოსტო გზავნილებების, სატრანსპორტო საშუალებების, შესაფუთი მასალის, გარის საკარანტინო მდგომარეობის დადგენა და მათი ექსპერტიზა; საქვეკარანტინო გვირთების, გარის,



## საქვეყნარანტიმო ტვირთ-მასალების პირველადი და მეორადი დახედევა

საქვეყნარანტიმო გვირთ-მასალები ექვემდებარებიან ჯერ პირველად, ხოლო შემდეგ (მთლიანად ან ნაწილობრივ) მეორად საკარანტიმო დახედევას. მცენარეული წარმოშობის პროდუქციის და სხვა საქვეყნარანტიმო მასალების პირველადი დახედევა წარმოებს კარანტინის სასაზღვრო პუნქტებში, აგრეთვე საზღვრისპირა საწყობებში გადაგვირთვისას. სამაშულო საქვეყნარანტიმო მასალები, რომელთა გადაზიდვა ხდება ქვეყნის შიგნით დაეადებულ ზონიდან თავისუფალ ზონაში, ან რომელიც იგზავნება ექსპორტში, ექვემდებარება პირველად დახედევას, ძირითადით მათი გაგზავნის პუნქტებში. ანალოგიური წესები დადგენილი არის იმპორტული გვირთების დახედევისათვის. იმპორტული საქვეყნარანტიმო გვირთების მეორადი დახედევა ხორციელდება ქვეყნის შიგნით, დანიშნულების პუნქტებში – რონოლებში, ორგანიზაციების საწყობებში, რომლებიც აწარმოებენ იმპორტული მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ნელეულის გადაშუშავებას სავაჭრო ორგანიზაციების ბაზებში. ქვეყნის შიგნით საქვეყნარანტიმო გვირთ-მასალების დახედევა არანაკლებ მნიშვნელოვანია და პასუხსაგები, ვიდრე სახელმწიფო საზღვრებზე. საქვეყნარანტიმო გვირთების მთლიანი პარტიის ან მისი ნაწილის მეორადი დახედევის აუცილებლობას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს მცენართა კარანტინის სახელმწიფო ინსპექცია იმპორტიორი ქვეყნის პირველადი დახედევის და საკარანტიმო შეგყობინების პირობების გათვალისწინებით.

როგორც პირველადი, ისე მეორადი დახედევისას გვირთი, აგრეთვე გარა და გადაზიდვის საშუალებანი ექვემდებარება ვიზუალურ დათვლიერებას, ხოლო შემდეგ, კი დეტალურ შემოწმებას. ვიზუალური დახედევისას მავნებლებს ეძებენ არა მარტო გვირთების ღია ზედაპირზე, არამედ იმ ადგილებში, სადაც ისინი ჩვეულებრივ იმალებიან. შემდეგ ერთგვარიანი პარტიიდან მცენარეული წარმოშობის პროდუქციის სახეობის და ჯიშის მიხედვით, ინსპექტორი ან ლაბორატორიის სპეციალისტი

იღებს ნიმუშებს ლაბორატორიული ანალიზისათვის, თანახმად არსებული წესებისა და მოქმედი ნორმების მიხედვით (სტანდარტი).

განსაკუთრებულ შემთხვევაში საზღვარგარეთიდან სათესლე და სარგავი მასალის დიდი პარტიების, აგრეთვე სასურსათო კარგოების შემოგანისას ნიმუშების აღება შეიძლება დაშვებული იქნას სტანდარტიდან გადახრით, სპეციალურად შემუშავებული პირობების (მოთხოვნების) საფუძველზე, რომელიც თან უნდა ერთვოდეს კონტრაქტებს (ხელშეკრულებებს) მცენარეული პროდუქციის შესყიდვაზე, ხოლო დახედვა და ნიმუშების აღება ლაბორატორიული ანალიზისათვის ხორციელდება ფიტოსანიტარიული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის მიერ შემუშავებული სპეციალური მეთოდიკით.

საქვეკარანტინო გვირგვინში მავნე ორგანიზმების არსებობას უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ გარეგნული ნიშნებით, მაგრამ ბევრ მასალას და პროდუქტს შეიძლება ჰქონდეს ძნელად გამოსაყვანილებელი შინაგანი ფარული დასენიანება, რომელთაც იწვევს მავნეებელი და მკურნარეთა დაავადებანი, რის დადგენაც ზოგიერთ შემთხვევაში გარეგანი ნიშნებით შეუძლებელია.

საქვეკარანტინო გვირგვინში ფარული დასენიანების გამოვლინებისათვის იყენებენ ლაბორატორიული ექსპერტიზის სპეციალურ მეთოდებს. ამისათვის საჭიროა ლაბორატორიული ექსპერტიზისათვის თითოეული პარტიიდან აღებული ნიმუში ნამდვილად იყოს საშუალო ნიმუში, რომელიც მუსგად დამახასიათებელია მისი დასენიანებისათვის.

რაც შემთხვევაში თესლების, ნაყოფების ფარული დასენიანების გამოვლინებას ხელს უწყობს გარეთ გამოსული ცოცხალი მწერების არსებობა. მაგრამ ხშირად მავნებლები იმყოფებიან თესლის შიგნით, რომელთა აღმოჩენა შეიძლება რენტგენოგრაფიული მეთოდით, ხოლო რენტგენო აპარატის უქონლობისას – უფრო შრომატევადი გზით – ყველა თესლის გახსნით, ან ყველა ნიმუშის ნაწილაკების გაჭრით. ეს საშუალო შეიძლება გადავიღოთ იქნეს თუ წინასწარ, ფლორატაციის მეთოდით გამოყოფილი იქნება ყველა არასრულფასოვანი თესლი, ნიგოზი, კურკები და ა. შ. და გაიხსნება მხოლოდ ისინი.

გვირგვინის გარეგანი დახედვა და ნიმუშების აღება ფრთხილად უნდა ჩატარდეს, რადგან შესაძლებელია გვირგვინის დაზიანებული იყოს მავნებლებით ფარულად. ამიგომ საშუალო ნიმუშის მომზადებამდე ადგილზე უნდა შემოწმდეს ყოველი ამოღებული ნიმუში, რათა არ გამოგვეპაროს თესლებიდან გამოსული ცოცხალი მავნებლები. ამავე დროს ყურადღებას აქცევენ თესლებზე არსებულ დამახასიათებელ დაზიანებას.

საკარანტინო მავნებლების აქტიურ მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში (პირველადი გარეგანი დახედვის დროს), გვირგვინს უნდა ჩაუტარდეს გაუსენიანება უშუალოდ საგრანსპორტო საშუალებებში,

რითაც ისინი შემოვიდა, (გემების ტრიუმფები, რონოლები, კონტეინერები და ა. შ.). თუ პირველადი გარეგანი დახედვისას მაინც ორგანიზმები აქტიურ მდგომარეობაში არ აღმოჩნდა, გვირთი შეიძლება გადმოიგვიროს პორტის ან რკინიგზის სასაზღვრო საწყობში, სადაც მას ათვალისწინებენ უფრო დეტალურად და საჭიროების შემთხვევაში უგარებენ გაუსენიანებას.

თუ საზღვარზე შემოსული გვირთი დაზიანებული არ არის საკარანტინო და სხვა, ჩვენს ქვეყანაში არარეგისტრირებული საშიში ობიექტებით, მას გადაგვირთავენ რონოლებში ქვეყნის შიგნით შემდგომი ტრანსპორტირებისათვის. ინსპექტორი ჩაატარებს რა გვირთის პირველად დახედვას, დაუყოვნებლივ აცნობებს კარანტინის ინსპექტორს გვირთის დანიშნულების ადგილზე მეთორადი დახედვის ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

# საქვეყნარბნტინო ტვირთ-მასალაუბის დასუქდვის ნუსუბი და თაუვისუბურუბანი

## საბღვარღარეთიდან შემოსული ღუმეუბის დასუქდა

ყველა საბღვარღარეთის და საქართველოს ღუმეუბი, რომლებიც შემოღიან საბღვრეუბიდან, ექვემღებარეუბა საკარანტინო დასუქდას საქართველოს პირველ პორტში შემოსულისთანავე. ამოცანა, — შემოგანიღი საქვეკარანტინო პორტუქციის საკარანტინო მღგომარეოუბის დაღვენა, რომელიც შემოგანიღია მღგავერეუბის, ხომალდის ეკი პაყის, აღრეთვე თვით ღუმეუბის მიღრ.

თუ ღუმის და საქვეკარანტინო ტვირთეუბის საკარანტინო მანენობიექტეუბით დაზიანეუბის შესახებ წინასწარ არსეობის შეტყობინეუბა, ღუმისა და ტვირთის დასუქდა ხღეუბა პირღაპირ რეიღბე. ღუმი დაზიანეუბული ტვირთით ღაყაეთი იზოღირეუბულ რეიღბე და იქ ხღეუბა მისი ღაუსენიანეუბა.

ღუმის პორტში შემოსულისას პირველ რიღში ათეუღიერეუბენ ღუმბანის ყველა ზეღა სათაესოეუბეს, ღია ღუმბანს და მასზე არსეუბულ საქვეკარანტინო მასალეუბს.

## სასურსათო მარაღის დასუქდა

თითოეულ ღუმეზე აღვენენ ეკი პაყის ყველა სასურსათო პროღუქტის მარაღის საკარანტინო მღგომარეოუბას საწყობეუბში, რეფრეკერატორეუბში, სამზარეულოეუბში და ა. შ. კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორი მანენეღლის ღამოელენის მიზნით ამოწმეუბს სასურსათო კარტოფიღის მარაღს, ახალ ხიღს (აღამი, ციღრუსეუბი), პარკოსანი კულტურეუბის საკეუბ თესლეუბს, თხიღს და სხეუ პროღუქტეუბს, ისინი ხშირად არიან

დაზიანებული საკარანგინო მავნებლებით ურენის სტადიაში. სამამულო წარმოშობის სასურსათო კარგოფილი, რომელიც ინახება გემის ეკიპაჟის საწყობებში და შემოსული არის საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, ათვალთვლებენ გულდასმით ისევე, როგორც იმპორტულ მასალას.

თუ გემის ეკიპაჟის საკვებ პროდუქტებში, ან თვით საწყობში, სადაც ინახება ეს პროდუქტები, აღმოჩენილი იქნება თუნდაც ერთეულის სახით რომელიმე საკარანგინო, ან ინსექტორისათვის უცნობი მავნებლის სახეობა, ის სასწრაფოდ აგროვებს მათ და აგზავნის კარანგინის ლაბორატორიაში გასარკვევად.

თუ აღმოჩენილი მავნებელი იქნება საკარანგინო ან პოტენციურად საშიში ჩვენი ქვეყნისათვის, ან საქართველოში არარეგისტრირებული, ინსექტორი ვალდებულია მიიღოს სასწრაფო ზომები პროდუქციის და შენობის გაუსენიანების ჩასაგარებლად.

იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი არ არის საწყობის გაუსენიანება, სადაც ინახება დაზიანებული პროდუქტი, ხდება მისი პერმეტიზაცია და დალუქვა გემის მოცემულ პორტში დგომის პერიოდში, რათა არ მოხდეს მავნებლის გავრცელება.

## საქვეკარანგინო გვირთების დახედავა გემის გრიუმებში

გრიუმებში საქვეკარანგინო გვირთების დახედავამდე უნდა მოეწყოს მათი განათების ორგანიზაცია და საჭიროების შემთხვევაში გემის კაპიტანთან მოლაპარაკების საფუძველზე ინსექტორს გემის შემადგენლობიდან სამუშაოების შესრულების პერიოდში გამოეყოს 2-3 წვერი. ეს სამუშაოებია: გვირთების გადაადგილება, გომრების გახსნა, მარცვლეულის გამოყრა, დახეული პროდუქციის გომრებში ჩაყრა და ა. შ.

თავიდან ყველა გრიუმში გარდება გვირთების გარეგანი დახედავა ცალკეული გრიუმების სახურავების ნაწილობრივი ან მთლიანი გახსნით. თუ გვირთში გამოვლენილი იქნება საკარანგინო ან სხვა საშიში მავნებელი აქტიურ მდგომარეობაში, რომ დახედავისას არ დაუმეად მათი გავრცელება, ამასთან, თუ გადმოგვირთია ხდება წვიმაში ან თოვლიან ამინდში, ჩვეულებრივ გრიუმის სახურავს არ ხსნიან და გვირთის დასახედად შედიან გამბურვიდან ან ლუქიდან.

საქვეკარანგინო გვირთების დიდი ნაწილი შემოდის გომრებით, ყუთებით, ფუთებით, მუყაოს ყუთებში შეუქაოლი, რომელიც დაწყობილია გრიუმებში შგაბელებად. ინსექტორი კარგი განათების პირობებში

გულდასმით ათვალეირებს ყველა ხელმისაწვდომ გარას, გარდა ამისა სარგებლობს რეფლექტორიანი შუბლის ან ჯიბის ფანრით, რომლის საშუალებით ათვალეირებს ყველა ხერხელს და გაუნათებელ ადგილებს. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გომრების ურთიერთ შეხების ადგილებს, ფუთებს შტაბელებში, გომრების ნაკერ ადგილებს, ყუთებს შორის არსებულ ნაპრალებს და ა. შ., ვინაიდან ამ ადგილებში ჩვეულებრივ თავს იყრიან სხვადასხვა სახეობის მავნებელი.

განსაკუთრებული ყურადღებით, ფრთხილად ხდება სეპერაციული სქელი ქაღალდის დათვალეირება, რომელზედაც შეიძლება გადაგანილი იყოს გომრები და ფუთები. ამ ქაღალდის ნაოჭებს შორის ყველაზე ადვილია მავნებლების აღმოჩენა, კერძოდ კაპრის ხოჭოსი.

გარდა ამისა, აუცილებელია ზედა რიგის ზოგიერთი გომარა (ყუთი, ფუთა) გადავებრუნოთ და გადავაწყოთ სხვა ადგილას და გაღებული ზედაპირის შემდეგი რიგი მაშინვე დაეთვალეიროთ; დამფრთხალ, დამალულ და მხოხავ მწერებს ინსექტორი აგროვეებს სინჯარაში მათი სახეობის გარკვევის მიზნით.

მავნებლების დაზიანების გამოსავლინებლად ათვალეირებენ გომრებს შორის არსებულ ნაყარს, რომელიც ყოველთვის არის გომრებს შორის. ამ ნაყარს ნაწილს იღებენ ლაბორატორიული ანალიზისათვის.

თუ ერთ გრიუმში მოთავსებულია სხვადასხვა დასახელების გვირთი, მაშინ ცალკეული სახეების გვირთის დათვალეირება ხდება ცალკე და ანალოგიურად იღებენ ნიმუშებს ლაბორატორიული ანალიზისათვის.

ერთგვაროვანი გვირთის შემოგანისას, რომელიც ჩატვირთულია რამოდენიმე გრიუმში, დახედვა და ნიმუშების აღება წარმოებს თითოეულ გრიუმში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ მავნებლის ყველაზე დიდი რაოდენობით კონცენტრირება ჩვეულებრივ ხდება გრიუმებში, რომლებიც განლაგებულია სამანქანო განყოფილებასთან ახლოს. თუ გვირთი ნაყარია (მარცვლოვანთა თესლები, ბრინჯი და სხვა) და შემოვიდა გომრებით, მაშინ ჩვეულებრივ, ვიშუალური დახედვის შემდეგ იღებენ საშუალო ნიმუშს გომრის ცეცის (შუპის) დახმარებით.

გომრის ცეცის (შუპის) დახმარებით საშუალო ნიმუშის აღების მეთოდი იძლევა ნათელ სურათს გვირთის სარეველების თესლებით დასარეველიანებაზე, აგრეთვე თვით პროდუქტის ძირითადად მარცვლის ხარისხის საშუალო მაჩვენებელზე. მაგრამ გვირთის მავნებლებით დაზიანების განსაზღვრისას ეს მეთოდი ზუსტი არ არის, რადგან მას შეუძლია ძირითადად გამოავლინოს კვი პები და მხოლოდ ზოგიერთი მავნებლები, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ სინჯებში აღებისას.

უითვისაღწინებით რა ენგომოლოგიური დახედვის სპეციფიკურ ამოცანას, აგრეთვე ბელლის მარაგის მავნებლების ქცევის თავი-

სებურებებს, ცეცი (შუპი) უნდა შეეყვანოთ გომარაში არა მისი სიმაღლის პერპედუკულარულად, როგორც ჩვეულებრივ კეთდება, არამედ თითქმის გომრის შიგა შეხების ზედაპირის ადგილზე, თითქოს ხდება მარცვლის ფენის გაფხეკა, რომელიც ეკერის უშუალოდ გომარას. სწორედ ამ ფენაში ჩვეულებრივ თავს იყრის სხვადასხვა სახეობის მავნებლები.

ნიმუშების ლაბორატორიული ანალიზები, რომელიც აღებულია ასეთი წესით, ჩვეულებრივ საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მავნებლების უფრო მეტი სახეობები, მათ შორის ისეთი საკარანგინო ობიექტი, როგორიც არის კაპრის ხოჭო. ამის გარდა ათვალიერებენ გრიუმების იაგაკსა და კელებს.

## გარაში მოთავსებული ტვირთის დახედვა

თუ ტვირთის ხასიათიდან გამომდინარე (ექსპორტიორი ქვეყნის და სხვა გარემოების გათვალისწინებით) არსებობს საუფუძველი ვიწინასწარმეგველოთ, რომ იგი დაზიანებულია საკარანგინო ან სხვა საშიში, საქარიოელომი არარევისტორიებული მავნებლებით, მაგრამ ეიმუალური დახედვისას ისინი არ ყოფილა გამოვლენილი, აუცილებელია ჯერ კიდევ გადმოგვირთამდე ჩატარებული იქნას უფრო დეტალური დახედვა. ამისათვის უშუალოდ გრიუმებში კარგად განათებულ სწორ თავისუფალ ადგილას აფენენ სუფთა ბრეზენტს ან რულონის ქალაღდის დიდ ფურცელს, სადაც ხდება უფრო მეტად საეჭვო გომრებიდან შიგთავის გამოყრა მავნებლის გამოვლინებაზე. შემდეგ, მაშინვე ხდება გათავისუფლებული გარის შიგა ზედაპირის გულდასმითი დათვალიერება, აგროვებენ მასში დარჩენილ, აგრეთვე გადმოყრილ ტვირთის შორის არსებულ ცოცხალ და მკვდარ მავნებლებს.

ათვალიერებენ რა გარიდან გადმოყრილ პროდუქტს, არჩევენ ცალკეულ მარცვალს (კოფე, ბრინჯი, კაკაო-ბობი, თხილის გულს და სხვა), რომელთაც აქვთ დაზიანებული ზედაპირი (გამონაღრნი, ხერელები, აგრეთვე ზრდასრული მწერები, მათ შორის აშკარად შეიმჩნევა მაგლები და ჭუკრები); აწყობენ მათ გომარაში ლაბორატორიული ანალიზისათვის.

შემდეგ, გადმოყრილ მასალას ისევ ყრიან გომრებში, ხოლო ქალაღდზე დარჩენილ ნარჩენს (ანახვეგს) გულდასმით აგროვებენ და ათავსებენ სხვა გომარაში ანალიზისათვის. ასე ამოწმებენ ტვირთის ცალკეული სახეობის და ჯიშის 2-3 გომარას (ხის ყუთებს, მუყაოს ყუთებს და ა. შ.). ლაბორატორიული ანალიზისათვის იღებენ ნიმუშებს, რომელიც შედგება ცალკეული სინჯებისაგან.

## გვირთების დახედვა, რომელიც შემოდის ნაყარის სახით

გვირთების დახედვას უპირველეს ყოვლისა აწარმოებენ ისეთ ადგილებში, სადაც მოსახერხებელია მისი დათვალიერება, განსაკუთრებით იქ, სადაც მარცხვალ გრანსპორტირებისას ყველაზე ნაკლებად ირევა, აგრეთვე გრიუმის კედლებს, რომელიც ახლოს არის ნაყარის ზედა მხარესთან. ამასთან სინჯარებში აგროვებენ ყველა აღმოჩენილ ცოცხალ ან მკედარ მავნებლებს.

სინჯებს იღებენ საშუალო ნიმუშების შესადგენად სტანდარტის თანახმად კონუსური ცეცის (შჩუპი) დახმარებით, ხოლო გადმოგვირთვისას – სპეციალური ციცივით ან ნიმუშების ასაღები მოწყობილობით. ნიმუშებს ადგილზე უკეთებენ ეგიკეტებს, რომელშიც მიუთითებენ ნიმუშის აღების აქტის ნომერს, ქვეყანას, საიდანაც შემოვიდა გვირთი, გემის დასახელებას, გრიუმის ნომერს, რიცხვს და ნიმუშების ამღები პირის გვარს.

## გრიუმების სათავსოების დახედვა

გვირთების გარეგან დახედვასთან ერთად გრიუმების სათავსოების მისაწვდომელ ადგილზე, კედლებზე და იატაკზე წარმოებს მავნებლების შეგროვება.

მავნებელი უნდა მოიძებნოს ყველა ნაპრაღში, მკერის შეგროვების ადგილას, ხის და მეგალის ნაწილების პორიზონგალურ ზედაპირზე და კუთხეებში. კაპრის ხოჭოს მაგლები ხშირად შეიძლება აღმოჩენილი იყოს გემის სამანქანო განყოფილებაში, სადაც ისინი შეიძლება არსებობდნენ მრავალი წლის განმავლობაში, როდესაც იმყოფებიან ფაკულტატური დიაპაუზის მდგომარეობაში და იშვიათად იკვებებიან სხვადასხვა მცენარეული ნარჩენებით. ცარიელი გრიუმების გამოკვლევა ხდება ანალოგიური მეთოდით.

გადმოგვირთვის შემდეგ გრიუმების დასუფთავებამდე, ინსპექტორი დამატებით ათვალიერებს მათ, აგარებს კედლებისა და იატაკის გამოკვლევას, ლაბორატორიული ანალიზისათვის იღებს ნიმუშების სინჯებს. გულდასმით ათვალიერებს აგრეთვე ყველა ნაპრაღს, გრიუმის სახურავს, რომელშიც ხშირად ხდება მავნებლის თავმოყრა. აგროვებს ყველა მავნებლებს, რომელთა შორის შეიძლება იყოს აღმოჩენილი ადრე არარევისგრირებული სახეობები.

ცარიელი გრიუმების ასეთივე დამატებითი დათვალიერება

რეკომენდირებულია ჩატარდეს გემიდან გვირთის გადმოგვირთვის სთანავე, რომელსაც ჩაუტარდა გაუსენიანება, ან გადმოგვირთვის პროცესში საკარანგინო და სხვა საშიში მავნებლებისაგან ფუმიგირებულ გვირთებს. ეს ჩატარებული გაუსენიანების ფუქტურობის შემოწმებასთან ერთად ხშირად გვაძლევს საშუალებას შევაგროვოდ ბევრი მავნებელი (ძირითადად ზრდასრული ფორმები), მათ შორის ისეთი სახეობები, რომლებიც აღმოჩენილი არ იყო პირველადი დახედვისას. ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, ვინაიდან გვირთების და ცარიელი გრიუმების დამატებითი დახედვა გარდება გაუსენიანების ჩატარებიდან მოკლე დროში, როცა შეიძლება აღმოჩენილი იყოს ცოცხალი პარალიზებული მწერები, მაგრამ ეს კიდევ არ მეგყველებს არახარისხოვანი გაუსენიანების ჩატარებაზე, რადგან მავნებლების 100%-ით სიკვდილიანობა შეიძლება მიღწეული იქნას გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

### კაიუტებში დახედვა

ინსპექტორი საქვეკარანგინო მასალების დახედვას ატარებს კაიუტებში, ამოწმებს მავნებლებით დაზიანებაზე მგზავრების ხელბარგში და გემის იკიპაის საკუქნაობებში ხილს, თესვებს, ცოცხალ დაფესვიანებულ მცენარეს, ცოცხალი ყვავილების თაიგულებს, აგრეთვე ნაყოფების ნარჩენებს ან ურნაში ჩაყრილ დამპალ ნაყოფებს. დაზიანებულ და ყველა სხვა პროდუქციას, რომელთა შემოგანა აკრძალულია ართმევენ და ანადგურებენ.

სანამ გაიცემა ვანკარგულება გემიდან გვირთის გადმოგვირთვაზე, ინსპექტორი საკარანგინო პუნქტში დაბრუნებისას, მაშინვე აკეთებს გემზე აღებული ნიმუშების ექსპერტიზას და არკვევს გამოვლენილ მავნებლებს, საჭიროების შემთხვევაში სარგებლობს ლაბორატორიის სპეციალისტების კონსულტაციით.

თუ გემის გრიუმებში არსებული გვირთი აღმოჩნდება დაზიანებული რომელიმე ცოცხალი საკარანგინო ან სხვა, საქართველოში არარეგისტრირებული, ან ძლიერ დაზიანებულია ბელლის ჩვეულებრივი მავნებლებით, ექვემდებარება გაუსენიანებას (ფუმიგაციას) უშუალოდ გემის გრიუმებში. თუ მავნებლების მიერ დაზიანება არ იქნა აღმოჩენილი, ინსპექტორი აძლევს ნებართვას გვირთის პორტის საწყობში გადმოგვირთვაზე, სადაც შემდეგ ატარებენ დეტალურ დახედვას. გვირთის საკარანგინო მდგომარეობაზე საბოლოო დასკვნა შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მისი გრიუმებიდან გადმოგვირთვის შემდეგ, სინჯების ანალიზის, დასუფთავებისას შეგროვილი ანარჩენების ლაბორატორიული ექსპერტიზის საფუძველზე.

# საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოსული რკინიგზის ვაგონების დახედვა

საქართველოში რკინიგზით შემოსული სხვადასხვაგვაროვან იმპორტირებულ გვირთებს შორის საკარანგინო შემოწმებას ექვემდებარებიან ახალი და გამხმარი ხილის სასაქონლო პარტიები, ბოსტნეული, სხვადასხვა კულტურის თესვები, სასურსათო და საფურაქე მარცვალი, თამბაქოს ნედლეული, კაკალი, თხილი და სხვა პროდუქტები.

## საგვირთო მაგარებლის ვაგონებში დახედვა

საზღვარგარეთიდან შემოსული საგვირთო მაგარებლების დახედვა, რომელთა გადმოგვირთვა ხდება სასაზღვრო პუნქტებში, წარმოებს უშუალოდ გადმოგვირთვის პროცესში.

ინსპექტორი უსწრება თვითიული ვაგონის გახსნას და ყურადღებით აკვირდება (განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში) მავნებლის შესაძლო გამოფრენას. ცოცხალი საკარანგინო და სხვა საშიში მავნებლების აღმოჩენისას, (რომლებიც საქართველოში რეგისტრირებული არ არიან) ინსპექტორი იძლევა განკარგულებას გადმოგვირთვის შეჩერებაზე და ლებულობს ზომებს გვირთის დაუყოვნებლივ გაუსენიანების ჩატერებაზე ვაგონებთან ერთად.

ვაგონებიდან გვირთის გადმოგვირთვის შემდეგ ინსპექტორმა, უნდა დაათვალიეროს იატაკი და კედლები, შეამოწმოს ხომ არ არის მათზე საკარანგინო მავნებლები აქტიურ მდგომარეობაში. საკარანგინო მავნებლების აღმოჩენის შემთხვევაში ის ლებულობს ზომებს ვაგონების გაუსენიანების ჩასატარებლად:

საქვეკარანგინო გვირთ-მასალების გადმოგვირთვა ხდება სასაწყობო შენობებში ან სასაზღვრო პუნქტის გერიტორიის სპეციალურ მოედანზე, საიდანაც მათი ვაგანა წარმოებს საგრანსპორტო საშუალებების მოწოდების შემთხვევაში. სანამ გვირთი იმყოფება საწყობში ან მოედანზე, ინსპექტორს აქვს საშუალება ჩაუტაროს მას დამატებითი დეტალური დახედვა.

## სამგზავრო ვაგონების, მგზავრების ხელბარვისა და ბარგის დახედვა

საბაჟოს ინსპექტორთან ერთად ფიგოსანიგარიული კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორი შემოივლის ვაგონების კუპებს, გულდასმით ათვალიერებს ფანჯრებს, რომელზედაც შეიძლება იყოს მავნებლები, მათ შორის საკარანტინო, შემოფრენილი ვგაში მოძრაობისას ან მანამდე. ინსპექტორის მოთხოვნისას მგზავრები ვალდებული არიან წარუდგინოს მას ხელბარვში მოთავსებული მცენარეული მასალები. მცენარეული საქვეკარანტინო პროდუქცია, რომლის შემოტანა აკრძალულია ან დაზიანებულია საკარანტინო მავნებლებით და მცენარეთა დაავადებებით, ამოიღება ბარგიდან და ნადგურდება ან ბრუნდება უკან სათანადო აქტის შედგენით.

გვირთები, რომლებიც შემოვიდა საზღვარგარეთიდან (ცალკე) მგზავრების გარეშე, მოწმდება სასაზღვრო საბაჟო პუნქტში ფიგოსანიგარიული კარანტინის ინსპექტორის თანდასწრებით. ბარგებში აღმოჩენილი მცენარეული საქვეკარანტინო მასალა ექვემდებარება შემოწმებას. ხშირად ასეთ ბარგებში პოულობენ პარკოსანი კულტურების თესვებს, ყვავილების ბოლქვებს, მარცვლეულის პროდუქციას. საკვები პროდუქტები, რომლებიც დაზიანებული აღმოჩნდება არასაკარანტინო ობიექტებით, ინსპექტორი ჩამოართმევს და ახდენს მათ თერმიულ დამუშავებას. მასალები, რომელთა შემოტანა აკრძალულია, მგზავრებს ჩამოართმევა და ნადგურდება ადგილზე.

## კონტეინერებით შემოსული საქვეკარანტინო გვირთის დახედვა

ინსპექტორი გულდასმით ათვალიერებს კონტეინერებს საქვეკარანტინო გვირთით, ამოწმებს ყველა ნაპრაღს და ჩაღრმავებულ ადგილებს კაპრის ხოჭოს, ამერიკული თეთრი პეპელას და სხვა საკარანტინო მავნებლების მაგლების ან ჭუპრების გამოვლინების მიზნით.

მათი აღმოჩენის შემთხვევაში ინსპექტორი ლებულობს ზომებს, რომელიც კრძალავს ქვეყნის სიღრმეში დაზიანებული გვირთების გადაადგილებას, რომელიც განკუთვნილია როგორც საქართველოსათვის, ისე გრანზიგის რეკიმიით შემოსვლისას.

თუ გვირთი ამკარად არ არის დაზიანებული, ინსპექტორი იძლევა ნებართვას გვირთის შემდგომი გრანსპორტირებაზე, მაგრამ ამის პარალელურად აგზავნის სასწრაფო საკარანტინო შეგვობინებას ფიგოსანიგარიული კარანტინის ინსპექტორთან, რომელიც ემსახურება

გვირთის მიღების პუნქტს. კონტინერების და მათში მოთავსებული გვირთების ლეგალური დახედა ხდება დანიშნულების ადგილზე, გადმოგვირთვისას.

იმ შემთხვევაში, თუ საქვეყარანინო გვირთ-მასალების გადაგვირთვა ხდება ვაგონებში, რომელიც შემოვიდა კონტინერებით, ან იცლება გვირთვადსაცლელ სასაზღვრო სადგურების საწყობებში, ინსპექტორს საშუალება აქვს მოახდინოს გვირთების და კონტინერების უფრო ლეგალური დახედა.

კონტინერები, რომლებიც შემოდის საზღვარგარეთიდან სამრეწველო გვირთებით და მგზავრების პირადი ნივთებით, სასაზღვრო პუნქტებში ექვემდებარება გარეგან დახედვას, ხოლო ლეგალური დახედა ხდება გვირთის გადმოგვირთვისას დანიშნულების ადგილზე.

### რკინიგზით გადაგანილი გვირთების მეორადი საკარანგინო დახედა

გვირთების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაგანა ქვეყნის შიგნით ხდება რკინიგზის საშუალებით. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს საგვირთო ვაგონების მეორად დახედვას, რომლებიც მკენარულ პროდუქციასთან ერთად შემოდის როგორც საზღვარგარეთიდან, ისე ქვეყნის გერიგორიის ბონიდან, სადაც გამოცხადებულია კარანგინი, ისეთი ობიექტებზე, როგორიც არის კარგოფილის ჩრჩილი, ამერიკული თეთრი პეპელა, კალიფორნიის ფარიანა, კარგოფილის კიბო, კარგოფილის ნემაგოდა და სხვა. საქვეყარანგინო გვირთ-მასალების მეორადი დახედა რაიონული სარაიონიაშორისო და ქალაქის ფიგოსანიგარიული კარანგინის სახელმწიფო ინსპექტორების მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

სავაჭრო ორგანიზაციები და ბაზები ვალდებული არიან დროულად აცნობონ ფიგოსანიგარიული კარანგინის სახელმწიფო სამსახურს იმპორტული და სამამულო წარმოშობის საქვეყარანგინო გვირთების შემოსვლის შესახებ. დროულად ჩააგარონ შესაფუთი მასალების გაქსენიანება, შესარულონ სხვა დონისძიებანი, რომლებიც მიმართული იქნება საკარანგინო მავნებლების სალიკვდაციოდ და ხელს შეუშლის მათი გავრცელებას.

საკარანგინო პრაქტიკა მოწმობს ვაგონებიდან აღებული ანახვეგის შემოწმების მნიშვნელობაზე. მათში შეიძლება აღმოჩნდეს ცოცხალი და მკედარი მავნებლები და მკენარეოა დაავადებების გამოშქვევები, რომლებიც სასწრაფოდ მიგანილი უნდა იქნას ინსპექციაში ან ლაბორატორიაში სახეობრივი შემადგენლობის განსაზღვრისათვის.

ასე შეიძლება გაირკვეს გვირითან ერთად რომელი მავნებელი ან მცენარეთა დაავადება შეიძლება შემოგანილი იქნას საქართველოს ახალ რაიონებში, რომლებიც გამოგანილია საკარანტინო წესების დარღვევით იმ ადგილებიდან, სადაც გამოცხადებულია კარანტინი.

† თუ დახედვისას აღმოჩნდა, რომ პროდუქცია შემოვიდა იმ რეგიონებიდან, სადაც გავრცელებულია საკარანტინო მავნებლები და მცენარეთა დაავადებანი, რომლებიც რეგისტრირებული არ არიან მომსახურე ზონის გერიგორიაზე, ამასთან თუ საქვეკარანტინო გვირითებს არ ახლავს სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გვირითი თავისუფალია საკარანტინო ობიექტებისაგან, ინსპექტორმა უნდა დალუქოს შემოსული ვაგონი მასზე იარლიყის ჩამოკელებით, რომელიც გაურთხილებასთან ერთად კრძალევს ლუქის მოხსნას. ერთდროულად ის ლებულობს ზომებს გვირითის საკარანტინო მდგომარეობის დასადგენად.

დაზიანებული პროდუქცია ექვემდებარება გაუსენიანებას, გაწმენდას ან იგზავნება ტექნიკური გადამუშავებისათვის საკარანტინო პროფილაქტიკური ზომების დაცვით. თუ მიღებული ზომების შედეგად არ შეიძლება თავიდან აცილებული იქნას საკარანტინო ობიექტების შემოჭრა, მაშინ მცენარეული მასალა ექვემდებარება ჩამორთმევას და განადგურებას დადგენილი წესის თანახმად.

ნაყოფები, კარგოფილი და სხვა მცენარეული პროდუქცია, რომელიც შემოვიდა ვაგონებით კარანტინგამოცხადებული ზონიდან იმ გერიგორიაზე, სადაც არ არის საშიშროება საკარანტინო მავნებლების, მცენარეთა დაავადებების და საშიში სარეველების შეგუების და გავრცელებისა, შეიძლება რეალიზებული და გამოყენებული იქნას განუსაზღვრელად.

კარანტინის ინსპექტორმა რა პროდუქციაც არ უნდა აღმოაჩინოს გამოსაყენებლად აკრძალული, შეზღუდული ან შეუზღუდავი, ყველა შემთხვევაში ის ვალდებულია გულდასმით გაანალიზოს მისი მთლიანი რაოდენობა, რათა დარწმუნდეს, რომ პროდუქცია თავისუფალია საკარანტინო მავნებლების, მცენარეთა დაავადებების და სარეველებისაგან. საკარანტინო ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში თუ ადგილზე შეძლებულია მათი სახეობრივი შემადგენლობის გარკვევა, ადგილი უნდა იქნეს ნიმუშები და გაიგზავნოს კარანტინის ლაბორატორიაში გასარკვევად.

საკარანტინო დახედვის შედეგები ფორმდება სათანადო აქტით და შეაქვთ კურნალში.

საზღვარგარეთიდან და ქვეყნის შიგნით,  
სადაც გამოცხადებულია კარანტინი,  
შემოსული თვითმფრინავების  
დახედვა

თვითმფრინავები ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ საკარანტინო დახედვას პირველივე აეროპორტში მისი მოსვლისთანავე. დახედვას ექვემდებარებიან თვითმფრინავის სათავსოები, მგზავრთა ბარგები და ხელბარგში არსებული მცენარეული მასალა, სასურსათო მარაგი და საქვეყარანტინო გვირთები.

სათავსოების დათვალიერებისას (სალონები და ბარგის განყოფილება) აუცილებელია ყურადღება მიექცეს ილუმინატორებს, იაგაკს, ნოხებს, ვინაიდან რეისის დაწყებამდე ან სხვა აეროდრომზე დაფრენისას თვითმფრინავში შეიძლება მოხვდეს საკარანტინო ობიექტები. აქვე შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი მავნებლები, რომლებიც გვირთებიდან გამოფრინდებიან რეისის დროს.

ინსპექტორი ამოწმებს თვითმფრინავის ეკიპაჟის საკვებ მარაგს (ახალი ხილი, ბოსტნეული და სხვა), რომელიც შესყიდულია ან მიღებულია საზღვარგარეთ. საკარანტინო მავნებლებით დაზიანებულ ახალ ხილსა და ბოსტნეულს ანადგურებენ სათანადო აქტის ან უწყისის გაფორმებით.

მგზავრების ხელბარგის საკარანტინო დახედვას აწარმოებენ აეროპორტის სპეციალურ დარბაზში, ხოლო მძიმე ბარგისას აეროპორტის საწყობში, სადაც დადგენილი წესის შესაბამისად ხდება ქვეყანაში აკრძალული საქვეყარანტინო გვირთ-მასალების ჩამორთმევა.

მგზავრთა ჯგუფები, რომლებიც მოდიან საზღვარგარეთიდან არაერთგავროვანია, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას მათი ბარგის დახედვის დროს. მაგალითად, საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ რეპატრიანტებს მოაქვთ ბევრი გვირთი, რომლებიც შეფუთულია და გვირთის დახედვისას არ იძლევიან სწორ პასუხს გვირთში არსებულ თესლების, ბოლქვების და სხვა მცენარეული მასალების შესახებ. მოქალაქეები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობენ საზღვარგარეთ, ხშირად მოაქვთ ახალი ხილი, თესვები, ყვავილები. სხვადასხვა დელეგაციების გურისტებს შორის ხშირად გვხვდება მოყვარული-მებალები, რომლებსაც თან მოაქვთ მათთვის საინტერესო მცენარეები.

ბოლქვები, თესვები და სანამყენე მასალა, რომლებიც წარმოადგენენ მეცნიერულ ფასეულობას, თუ ისინი დაზიანებული არ არიან საკარანტინო ობიექტებით, გადაეცემა მთავარ ბოგანს, კურ ბაღებს, ჯიშთა გამოყლის ნაკვეთებს ინტროდუქციულ-საკარანტინო სანერგეში დასარ-

გავად ან დასათესად, სადაც ისინი გაივლიან დამატებით შემოწმებას ფარული დასენიანების გამოვლინებაზე.

ქოთინებში ან კალათებში მოთავსებული ცოცხალი ყვავილები ნიადაგთან ერთად მიჰხედავად იმისა, აღმოჩენილია თუ არა მათზე მანქანები ან მკენართა დაავადებები, ექვემდებარებიან განადგურებას ან უკან დაბრუნებას. მცენარის მიწის ზედა ნაწილები, თუ ისინი დაზიანებული არ არის, შეიძლება მოიჭრას და გვირთის მფლობელის სურვილის მიხედვით დაუბრუნდეს მას. მოჭრილი ყვავილების დაუბინაველი ცოცხალი თაიგულები საკარანგინო დახედვის შემდეგ ექვემდებარება მგზავრებისათვის უკან დაბრუნებას.

ამანათები, რომლებშიც მოთავსებულია საქვეკარანგინო მასალები (ნერგები, კალმები, ბოლქვები, გუბერები, თესვები), რომლებიც შემოგანილი არიან საბარჯო საბუთებით, ავრეივე სამეცნიერო ექსპედიციების ყუთები და ჩემოდნები, რომლებშიც მოთავსებულია საქვეკარანგინო მასალები, ექვემდებარება მხოლოდ გარეგან დახედვას, რის შედეგად ისინი გადაეცევიან გვირთის მეპატრონეს, მაგრამ მათი გახსნა მას შეუძლია მხოლოდ კარანგინის ინსპექტორის ან კარანგინის ლაბორატორიის სპეციალისტის თანდასწრებით.

გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში თვითმფრინავეებით შემოდის დიდი სასაქონლო პარგიები (მალფუჭადი ახალი ხილი, ბოსტნეული და სხვა). ასეთი გვირთების დახედვას იწყებენ ჩვეულებრივ თვითმფრინავეებში, შემდეგ ავრეილებენ გადმოგვირთვისას და ამთავრებენ გადმოსავლით მოედნებზე ან აეროპორტის გერიგორიის საწყობებში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გვირთებს, რომლებიც იგზავნება კარანგინგამოცხადებული მონებიდან.

## საქვეკარანგინო გვირთების დახედვა სერთაშორისო ფოსტამგებში

საერთაშორისო ფოსტამგის მეშვეობით ამანათებით და ბანდეროლებით კვლევითი და სხვა ორგანიზაციების მისამართით შემოდის კულტურული მცენარეების თესვები და სარგავი მასალა, ხოლო ბოგანიკური ბალების მისამართზე გარეული და კულტურული გროპიკული და სუბგროპიკული ფლორის ბალახეული და ხემცენარეების უამრავი ნიმუშები, ყვავილიან-დეკორატიული კულტურების თესვები, ბოლქვები და სანამყენე მასალა.

საერთაშორისო ფოსტამგის სასაბლერო საკარანგინო პუნქტის ინსპექტორი ასეთი ბანდეროლების და ამანათების გარეგანი დახედვის

შემდეგ, აგზავნის მას საკარანგინო ლაბორატორიაში ექსპერტიზათვის. თუ მასალა დაზიანებული აღმოჩნდება საკარანგინო ან სხვა საშიში მავნებლებით, მაშინ მას უგარებენ ფუმიგაციას. აგრეთვე ართმევენ სარეველა მცენარეების ნიმუშებს. ასეთ შემთხვევაში ამანათებში (ბანდეროლებში) დებენ ნიმუშების ჩამორთმევის აქტს, ხოლო შესაფუთ მასალაზე ურცყამენ დაწესებული ნიმუშის შტამპს, რომლითაც მოწმდება, რომ მასალამ გაიარა საკარანგინო ექსპერტიზა და ნებადართულია მისი ქვეყანაში შემოგანა. ამის შემდეგ ამანათის (ბანდეროლს) ისევ აბრუნებენ ფოსტამტში დანიშნულებისამებრ გასაგზავნად.

სამეცნიერო ორგანიზაციების მისამართით გაგზავნილ პერბარიუმების დახედვა უშუალოდ ხდება ფოსტამტთან არსებულ საკარანგინო პუნქტში. ინსპექტორი ამოწმებს არა მარტო პერბარიუმს, არამედ შესაფუთ ქალაღდსა და გარას, ნაკეცებს და ნაპრალებს, სადაც შეიძლება იყოს მავნებლები, მათ შორის საკარანგინო. პერბარიუმები, რომლებიც ეტიკეტების თანახმად შეგროვილი არის მიმდინარე, ან 2-3 წლის წინ, უნდა დაიხედოს განსაკუთრებული ყურადღებით, რადგან თესლების შიგნით, რომელიც იმყოფება ნაყოფებში, შეიძლება იყოს ცოცხალი მავნებლები (გყვავიჭამიები, თესლიჭამიები და ა. შ.) დიდი ხნის წინათ შეგროვილ პერბარიუმებში შეიძლება აღმოჩენილი იქნა მწერები, რომლებიც აზიანებენ გამხმარ მცენარეებს. საგერბარიუმო ფურცლები, რომლებიც შეიყავენ სხვადასხვა საკარანგინო სარეველების თესლებს ან მცენარეებს საკარანგინო დაავადებების ნიშნებით, ექვემდებარება ჩამორთმევის და კარანგინის ლაბორატორიაზე გადაცემას.

მავნებლების მიერ დაზიანებულ საპერბარიუმო ფოთლებს ან ყველა ამანათის პერბარიუმებთან ერთად უკეთდება ფუმიგაცია.

საერთაშორისო საფოსტო ამანათებში, რომლებიც იგზავნება კერძო პირების მისამართით, ასევე მოთავსებულია მცენარეული ჩანადები, რომელიც ექვემდებარება საკარანგინო დახედვას. ესენი არიან სხვადასხვა ბურღული, ფქვილი, ბარდა, ლობიო, ოსპი ან გამხმარი ხილის ცალკეული სახეობა, კაკალი, გამხმარი სოკო, ბოსტნეული, სამკურნალო ბალახები; არც ისე იშვიათად გვხვდება ახალი ხილი — ფორთოხალი, ლიმონი, ვაშლი, მსხალი, ბროწეული. ყველა ამ მასალების დახედვა ერთდროულად ექსპერტიზასთან ერთად გარდება ადგილზე. ფოსტამტის შენობაში, რისთვისაც ინსპექტორს უნდა ჰქონდეს ყველა აუცილებელი მოწყობილობანი.

პაკეტს ან საფირმო ყუთებს, ფრთხილად ხსნიან და შიგ არსებულ მასალას გადმოყრიან კიუვეტებში. ამის შემდეგ სწრაფად ხდება პაკეტების, ყუთების შიგნითა შედაპირის, ყურადღებით დათვილიერება, იმ მიზნით, ხომ არ დარჩა შიგნით ცოცხალი მავნებელი, ექსკრემენტები, აბლაბუდა. გარდა ამისა არჩევენ ისეთ მარცვლებს და გამხმარ ხილს, რომელთაც

გააჩნია დამახასიათებელი დაზიანება – გარეგანი გამონადრღნი აბ-  
ლაბუდა, ჩალრმავებული ადგილები და ა. შ.

გამხმარ ხილს, რომელთაც გააჩნიათ შინაგანი დაზიანების  
ნიშნები ჭრიან სკალპელით, ამოწმებენ ლუპის დახმარებით ან ბინო-  
კულიარის ქვეშ და ამოყავთ მავნებლები. ასევე აკეთებენ ახალი ხილის  
შემთხვევაში. კაკალს ნაპრალებითა და მავნებლებით შინაგანი დაზიანების  
ნიშნებით აპობენ სკალპელით ან დანის დახმარებით.

საკვები პარკოსნების თესლების (ბარდა, ლობიო, ოსპი) გარეგანი  
დეგალური დახედვის შემდეგ ხდება საეკვო ნიმუშების ამორჩევითი გახსნა  
მავნებლებით შესაძლო დაზიანებაზე, მიუხედავად მათი შემოწმების  
შედგისა, უგარდება თერმიული დამუშავება საშრობ კარადაში I საათის  
განმავლობაში 60-100 გემპერატურის პირობებში. საშრობ კარადაში  
თესლებს ათავსებენ ემალის კიუვეტებით.

მავნებლების სახეობების გარკვევა, განსაკუთრებით საკარან-  
გინოს, დამოწმებული უნდა იყოს ლაბორატორიის სპეციალისტების მიერ.

## იმპორტული გვირთების დახედვა საწყობებში

მას შემდეგ რაც კარანგინის ინსპექტორმა დაათვალიერა  
საზღვარგარეთიდან შემოსული გემი, თვითმფრინავი ან რკინიგზის  
სატვირთო რონოლები და დარწმუნდა, რომ შემოგანილი გვირთები  
კარანგინის თვალსაზრისით რაიმე საშიშროებას არ წარმოადგენს, იგი  
იდლევა ნებართვას საქვეკარანგინო გვირთების პორტის ან რკინიგზის  
საწყობებში გადმოგვირთვამდე, შემდეგ კი ახდენს მათ დახედვას უშუალოდ  
საწყობებში.

სასაზღვრო საწყობებში საკარანგინო დეგალურ დახედვას  
ექვემდებარება იმპორტული საქვეკარანგინო გვირთების დიდი ნაწილი.  
ზოგი (გყავი და სხვა) შემომიღვის პუნქტებში გადიან მხოლოდ გარეგან  
დახედვას, თუ გვირთი ამკარად დაზიანებული არ არის, მაშინ უშვებენ  
ქვეყნის შიგნით საკარანგინო წესების დაკვის პირობით და დანიშნულების  
პუნქტებში მათი დეგალური დახედვით.

საწყობში უპირველეს ყოვლისა ნებისმიერი გვირთის ცალკეული  
პარტია ერთხელ კიდევ გადის ვიზუალურ დახედვას, რომლის დროსაც  
შესაფუთი მასალის მდგაპირზე ეძებენ და აგროვებენ ცოცხალ და შკედარ  
მწერებს (ხოჭოებს, მაგლებს, ჭურებს, პეპლებს), რადგან გადმოგვირ-  
თამდე ყუთების ან გომრების ნაწილი იმყოფებოდეს ქვედა ფენებში,  
რომელთა დახედვა შეუძლებელია. დახედვის დროს განსაკუთრებულ  
ყურადღებას აქცევენ იმ ადგილებს, სადაც ჩვეულებრივ ადვილია ცოცხალი

მწერების აღმოჩენა. ამისათვის სარგებლობენ ჯიბის ფანრით, ათვალიერებენ აგრეთვე იატაკს შგაბულების ირგვლივ და საწყობის კედლებს.

